კონკურსის მეშვეობით ქედის მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №1

დ.ქედა 05 თებერვალი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. დავით დუმბაძე - კომისიის თავმჯდომარე, ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
2. მამუკა ფარტენაძე -კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილე;
3. შოთა ბერიძე - კომისიის წევრი, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსი-საბიუჯეტო და ეკონომიკური საკითხთა კომისის თავჯდომარე;
4. თამაზ აბულაძე- კომისიის წევრი, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მშენებლობის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი;
5. გივი დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

ქედის მუნიციპალიტეტის ქედის მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურეობის შესყიდვის საკონკურსო განცხადების დამტკიცების შესახებ

მოისმინეს:

საკონკურსო კომისის წევრმა გივი დევაძემ კომისიას გააცნო, საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადების პროექტი

კომისიამ დადგინა:

1. დამტკიცდეს, ქედის მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადება წარმოდგენილი სახით.
2. კონკურსი ჩატარდეს 2014 წლის 17 თებერვალს 15 საათზე.
3. საკონკურსო წინადადების მიღების ვადად განისაზღვროს 2014 წლის 17 თებერვალის 15 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო განცხადება გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კომისის თავჯდომარე დ. დუმბაძე

მოადგილე მ. ფარტენაძე

წევრები: შ. ბერიძე

თ. აბულაძე

გ. დევაძე